სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25709167070125

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250376499

რეგისტრაციის თარიღი

01.04.2025 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდახუთი წლის პირველ აპრილს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში მომმართეს შემდეგმა პირებმა : ერთი მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო** წარმოდგენილმა **სერგო ბირკაძემ (დაბ.16.01.1981წ პ/ნ 57001006501)** (შემდგომში - „სააგენტო“), მეორე მხრივ, ყოფილი საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების წარმომადგენელი **ამხანაგობა „ძოწი“**, წარმოდგენილი ამხანაგობის თავმჯდომარის, **მარიამ სიგუას (დაბ.30.06.1984წ მართვის მოწმობა TH1603006 პ/ნ 01009015974)** და გამგეობის წევრების: **გიული წერეთელის (დაბ.20.01.1955წ პ/ნ 01024040817) და გიორგი ვეშაპიძის(დაბ.24.02.1983წ პ/ნ 01008021345)** მიერ, (შემდგომში - **„ამხანაგობა“**) და მესამეს მხრივ **შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“**, (ს/ნ: 405589395), წარმოდგენილი კომპანიის დირექტორის, შორენა დარჩიაშვილის (**დაბ.04.12.1978წ პ/ნ 01015005334**) მიერ(შემდგომში - **„კომპანია“**) მხარეებმა განაცხადეს, რომ სურთ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების**დადება და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მათ წარმოადგინეს ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წაიკითხეს და განაცხადეს, რომ სურთ შეთანხმების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე შეთანხმებაში და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს შემდეგს

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 01 აპრილს 2025 წელი

(1) **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო**, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, სერგო ბირკაძის (პ/ნ: 57001006501) (შემდგომში - „**სააგენტო**“) და

(2) ყოფილი საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების წარმომადგენელი **ამხანაგობა „ძოწი“**, წარმოდგენილი ამხანაგობის თავმჯდომარის, მარიამ სიგუას (პ/ნ: 01009015974) და გამგეობის წევრების: გიული წერეთლის (პ/ნ: 01024040817) და გიორგი ვეშაპიძის (პ/ნ: 01008021345) მიერ, (შემდგომში - **„ამხანაგობა“**)

(3) **შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“**, (ს/ნ: 405589395), წარმოდგენილი კომპანიის დირექტორის, შორენა დარჩიაშვილის (პ/ნ: 01015005334) მიერ მიერ (შემდგომში - **„კომპანია“**)

შემდგომში თითოეული ერთობლივად წოდებული, როგორც ,,**მხარეები**“, ხოლო ცალ-ცალკე - „**მხარე**“;

პრეამბულა

ვინაიდან, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

კინაიდან, ზემოაღნიშნული ვალდებულების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - **„ხელშეკრულება“**);

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 თებერვლის N23.160.174 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N58 განკარგულების საფუძველზე, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება და ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, მათ შორის, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ შპს „ჰორვატსის“ (ს/ნ: 405349154), ნაცვლად განისაზღვრა შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ და მასზე სრულად გავრცელდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები, გარდა ამისა, **შეიცვალა მშენებლობის ნებართვის ლოტებით განსაზღვრული დასრულების ვადები.**

ვინაიდან, კომპანიამ - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (ს/ნ: 405589395) წარმოადგინა 2025 წლის 7 მარტს N10/01250661386-61 და 2025 წლის 17 მარტს N19/01250762595-61 განცხადებები, რომლითაც მოთხოვნილია მშენებლობის დასრულების I ლოტით განსაზღვრული ვადის გახანგრძლივება არაუმეტეს 2025 წლის 31 დეკემბრისა. ამასთან, ამხანაგობა „ძოწის“ მიერ 2025 წლის 11 მარტის N19-01250702826-61; 2025 წლის 12 მარტის N19-01250711658-61 და 2025 წლის 19 მარტის N19-012507813-61 განცხადებებით წარმოდგენილია თანხმობა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის N25.392.505 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N119 განკარგულების საფუძველზე,

მხარეები თანხმდებიან, დადონ წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში - **„შეთანხმება“**):

1. მხარეები, ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.4.1 ლოტი I – სრული სამშენებლო ფართის არანაკლებ 20%-ის მშენებლობა უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა (ლოტი I მოიცავს N01.14.01.008.096; N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს)“;
2. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული გარდა, ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელად.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, იგი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ შეთანხმების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას სრულად უზრუნველყოფს კომპანია.
4. შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ერთი რჩება შესაბამის ნოტარიუსთან, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

ამ შეთანხმების იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 10 დოკუმენტი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 მარტის N 25.392.505 განკარგულება
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N119 განკარგულება
3. ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა) / ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო / საიდენტიფიკაციო კოდი: 205296375 31/03/2025წ
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: ს/კ 01.14.01.008.097, განცხადების რეგისტრაცის # 882025356913 - 31/03/2025 მომზადების თარიღი 31/03/2025
5. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: ს/კ 01.14.01.008.096 , განცხადების რეგისტრაცის # 882025356923 - 31/03/2025 მომზადების თარიღი 31/03/2025
6. ამონაწერი სამეწარმოე რეესტრიდან შპს **შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“**, (ს/ნ: 405589395)
7. ამხანაგობა „ძოწი“-ს გამგეობის სხდომის ოქმი 01/25
8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო შეთანხმება, რეესტრის ნომერი N230244802, დამოწმების თარიღი 24/02/2023, ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

. 2021 წლის 24 მარტის ხელშეკრულება დამოწმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საგნეტოს მიერ

10. ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის დაფუძნების შესახებ 23.10.2021წ ნოტარიუსი ბაჩანა შენგელია რეესტრი N 211185598

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 25.00 **ლარი**, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით და **დღგ. 4.5 ლარი**, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის N69-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 **ლარი**, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების-მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუ

მხარეთა ხელმოწერები:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო:
სერგო ბირკაძე (პ/ნ: 57001006501)

ამხანაგობა „ძოწი“:
მარიამ სიგუა (პ/ნ: 01009015974)

გიული წერეთელი (პ/ნ: 01024040817)

გიორგი ვეშაპიძე (პ/ნ: 01008021345)

კომპანია:
შორენა დარჩიაშვილი (პ/ნ: 01015005334

